ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

29 მაისი––ივნისი №18 (12) ფასი 30 თეთრი

<u>**არჩევნები დასრულდა:**</u> *ახლადარჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ. ოფიციალური შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.*

„ახალი ლეჩხუმი" ულოცავს რაიონის ახლადარჩეულ გამგებელს ბატონ ონერ ნემსიწვერიძეს, სოფლისა და ქალაქის გამგებლებს, საკრებულოს სპიკერს ამ მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არჩევას და ვუსურვებთ ღირსეულად ეტარებინოთ ხალხის რჩეულთა სახელი.

◆

ჩვენთვის ნებისმიერი ლეჩხუმელის წინსვლა და წარმატება სასიხარულოა. გულწრფელად გაგვახარა ერთი კარგი ლეჩხუმელი კაცის, **დავით ბენიძის** წარმატებამაც.

დავით! გილოცავთ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე არჩევას. გვჯერა გაამართლებთ ქუთათურთა ამ დიდ ნდობას.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია.

◆

ანონსი, ანონსი...

„ნიჭი, სიყვარულის გარეშე არაფერია" გვ. 2

კაცი, რომელზეც ლეგენდები დადიოდა გვ. 5

არჩევნები, შედეგები გვ. 4



„ქვეყანა თუ დაიმშას, ხვამლმა გარჩინოსო"

ხვამლის მთა ლეჩხუმის ერთ–ერთი სალოცავია. ცხენისწყლისა და რიონის ხეობებს შორის ვეება კირქვიანი მასივი ნაქერალას ქედის გაგრძელებას წარმოადგენს დასავლეთისაკენ. ზღვის დონიდან 2002 მეტრზეა აზიდული. ხვამლის მთაზე ზღვის დონიდან 1710 მეტრ სიგრძეზე მდებარეობს „ბოგას საყინულე", რომელშიც მუდმივად ყინულის დიდი რაოდენობაა. ქარაფზე რამდენიმე ადგილას მოჩანს გამოქვაბულები. 1938 იქ ცნობილი ქართველი მთასვლელი ალექსანდრე ჭადარიძე ავიდა და გამოიკვლია აღნიშნული გამოქვაბულები.

ხვამლის მთას ლეჩხუმელი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის სალვთო მთად მიაჩნიათ და მას დიდ პატივს სცემდნენ. დიდი როლი ითამაშა ხვამლის მთამ საქართველოს ცხოვრებაში. ვახუშტის გადმოცემით, ხვამლის კლდეში „არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სანახი". ხვამლის მთაზე იყო დიდად განთქმული ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესია. 1886 წელს მღვდელი იოანე თაგვაძე წერდა: „ამ თვალუწვდენელ კლდის თავზე არის ნანგრევი ეკლესიისა, გალავანი ეკლესიისა არის ქვის, ამ გალავნის ირგვლივ არის ქვის სახლები, ზოგი მათგანი თითქმის ახლაც ვარგა კაცის დასადგომად".

ხვამლის მთამ იმთავითვე მიიქცია ლეჩხუმელთა ყურადღება. იგი ყოველთვის მოქმედებდა აქაურ ამინდზე, მიკროკლიმატს ქმნიდა და ბუნებრივია მშრომელი ხალხის თაყვანისცემის ობიექტი ხდებოდა.

მღვდელი ანტონ გოლეთიანი წერდა: „1889 წელს საშინელი გვალვები ყოფილა. სოფელ ოყურეშიდან მრევლი წასულა ხვამლის წმინდა გიორგის სალოცავზე შესავედრებლად".

1901 წელს „მწყემსში" მღვდელ იონა თაგვაძის მიერ გაგზავნილი წერილი კვლავ ხვამლის მთას ეხება, სადაც აღნიშნულია, რომ ლეჩხუმლები ხვამლს სალვთო მთას ეძახიან. იქ ყოველ წელს სულიწმინდის მოფენობის კვირიკის წინა შაბათს, ხვამლობას დღესასწაულობენ. აქ შესაწირი მიაქვთ მორწმუნეებს, მთაზე პატარა რკინის ჯვარი ასვენია. აქვს ქვის გალავანი, ირგვლივ სახლებია, იქვე არის გამოქვაბული რომელიც მუდამ სავსეა წყლით, მარჯვნივ გალავნის კლდეზეც არის ჯაჭვი გადაკიდებული რკინის კოჭზე. აქ კაცს მისვლა არ შეუძლია, ალბათ ეს არის თამარის დროინდელი განძთსაცავი, რომელიც გაჭირვების დროს ქვეყნას სჭირდებოდა. ამის გამო იყო ალბათ ხალხში გავრცელებული გამოთქმა:—„თუ ქვეყანა დაიმშას, ხვამლმა გარჩინოსო".

ხვამლის მთაზე ერთ დროს მონასტერიც ყოფილა, მაგრამ ხანგრძლივი ომიანობის დროს მტრებს დაუნგრევიათ. ძველი ეკლესიის საფუძველი უცვლელად არის შემორჩენილი. სოფელ ოყურეშის მოსახლეობას იქ პატარა ეკლესია აუშენებია და ამის აღსანიშნავად 20 ივლისი დააწესეს. ამ დროს წირვა-ლოცვა სრულდებოდა, ეკლესიაში ბევრი ხალხი იყრიდა თავს, მიჰქონდათ პურმარილი, წირვის დამთავრების შემდეგ ისინი პურმარილობდნენ, ღვინის სმით და ცეკვა–თამაშით საღამომდე ატარებდნენ დროს.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ბევრი საინტერესო და ლამაზი გადმოცემა შემოგვინახა ხვამლის მთის შესახებ.

ერთ-ერთი მათგანი შეეხება იმერეთის მეფეს გურგენს. გურგენ მეფე, კაცი მეტად პატიოსანი, საქმის მცოდნე, პატრიოტი. მეუღლეც უაღრესად პატიოსანი, ლამაზი და ღირსეული პიროვნება იყო. ერთ დღეს მეფეს მსტოვრებმა ამბავი მოუტანეს–იმერეთს თათრის ჯარი შემოეჯარაო. გურგენ მეფე სწრაფად მოემზადა და გაეშურა თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო სამეფო მის დაბრუნებამდე ერთ სანდო ვეზირს დაუტოვა და თან სთხოვა: „ჩემს დასაბრუნებლად ილოცეო". როგორც კი ბრძოლის ველზე მივიდა, გაიგო, რომ მტერი ურიცხვი იყო, მაგრამ ამას არ შეუშინდა მეფე, ილოცა და მტერს ეკვეთა. თათრებმა ვერ გაუძლეს იმერთა მეფის ჯარის შეტევას და მალე იბრუნეს პირი. მაგრამ ერთ ადგილას მტერმა ალყა შემოარტყა მეფეს, გამარჯვების იმედი აღარ იყო. ქუთაისის სამეფო კარზე ცნობა მოვიდა მეფის დაჭრისა და დამარცხების შესახებ. ეს ამბავი, რომ ვეზირმა გაიგო, იფიქრა–მეფეს მოკლავენ, ველარ დაბრუნდება და მეფობა მე დამრჩებაო. შეკრიბა სამეფო კარი და თავი მეფედ გამოაცხადა, ხოლო დედოფალს შესთავაზა–შენ ჩემი უნდა გახდეო.

ეს სიტყვები დედოფალმა შეურაცხჰყოფად მიიღო და ვეზირი გარეთ გამოაგდო, შემდეგ მეფე–მეუღლის წერილი მიიღო– „ომში მშვიდობიანად გადავრჩი,ჯარიც გადარჩა და მალე დავბრუნდებიო". შეშინდა გარეწარი ვეზირი, დედოფალს ცილი დასწამა, მეფეს წერილი გამოუგზავნა და აცნობა: „დედოფალი გაირყვნა, გაროსკიპდა, წაბილწა შენი სახელი. ახლა თქვენი გამარჯვება რომ გაიგო, გადაწყვიტა სხვისი მეუღლე გახდეს და შენ არ დაგხვდეს სახლში". ვეზირის წერილმა მეფე ალაშფოთა და ვეზირს დაავალა, რომ დედოფალი შეეპყრო და უსიერ ტყეში გაეძევებინა, რომ ის მხეცებს დაეგლიჯათ. ვეზირსაც ეს უნდოდა, მოიხმო ჯალათები და უბრძანა, დედოფალი წაეყვანათ ხვამლის მთის ტყეებში, იქ ხეზე მიეკრათ და ისე დაეტოვებინათ.

ჯალათებმა როგორც იქნა მიალ-

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ნიჭი სიყვარულის გვრეშე ვრეფერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მეხსიერებაში მისი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა მაშინ შემოვიდა, როცა ჯერ კიდევ დეკანოზ პავლედ მოიხსენიებდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას წარსულის კადრები_საოცრად გამოცოცხლებული ლეჩხუმი, გაერთიანებული ერი და ბერი, ღვთიური მადლით ჩატარებული ნათლობის უდიდესი საიდუმლო „მწვანე თეატრის" მორაკრაკე ცივ მდინარეში და...

მახსოვს სიყვარულით გულანთებული ღვთისმსახური_სანდომიანი გარეგნობით. ჭეშმარიტად გულმხურვალედ ილოცა ალბათ მაშინ „ცოდვათა ჩვენთათვის",- იმდენად გულმხურვალედ, რომ ზოგიერთი ჩვენგანი ათასი ყოველდღიურობით გადატვირთულები ეკლესიის შესასვლელსაც რომ ვერ ვაგნებდით, მოუცლელობის მოშველიებით, ტაძრის მუდმივ მრევლადაც გვაქცია.

შემდეგ იყო ლეჩხუმელ მრევლთან ურთიერთობაში შესვენების პერიოდი. ხშირად მიკვირდა__ზოგიერთნი (ალბათ ჩემზე მეტად მორწმუნენი), მოძღვართან დროებითი განშორების გამო სულიერად რომ ფორიაქობდნენ, მაგრამ ვინც მეუფე ნიკოლოზის თუნდაც რამდენიმეწუთიან ქადაგებას მაინც კი შესწრებია, მასთან საუბარში რამდენიმე წამიც კი გაუტარებია, ჩემებრ მკრეხელური აზრი აღარ შეაწუხებს, რადგან მან უკვე იცის იმისი ფასი, რასაც მოძღვარი, ღვთისმსახური, სულის გადამრჩენი ჰქვია.

...დღეს იგი მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ცაგერის და სვანეთის ეპარქიის მღვდელმთავარი, მეუფე ნიკოლოზია, საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილებას ხელმძღვანელობს და არა მარტო ეს... იგი პიროვნებაა, ბერის კაცია, ერის კაცია, უდიდესი და უზადო ნიჭიერების მეპატრონე...

ჩვენს ეპარქიაში მისი ჩამობრძანების პირველივე დღეებიდანვე ვცდილობდით ჩვენს გაზეთში მასზე მასალა დაგვებეჭდა. დღემდე ვერ შევძელით__ყველა, ვინც მის ღრმა და ამოუწურავ პიროვნებას ოდნავ მაინც იცნობს, დამერწმუნება, რაოდენ ძნელ დავალებას შევჭიდებივარ. ერთი რამის იმედი მაქვს__თვით „ჩემი ობიექტი" და მკითხველი მაპატიებენ უნებლიე თუ მიწიერ შეცდომებს...

ამ პატარა ქალაქში შეუმჩნეველი რა რჩება და ალბათ იმასაც შენიშნავდით, ამ ერთი-ორი კვირის წინ მეუფე ნიკოლოზმა როგორ აგვაფორიაქა და გამოგვაღვიძა სექტემბრის თვეში პატრიარქის მოსალოდნელ სტუმრობასთან დაკავშირებით__არც ერთი ინსტანცია არ დავიწყნია ოფიციოზით დაწყებული გაჭირვებულთა და მიუსაფარებით დამთავრებული. ჩვენი გაზეთის შემადგენლობაც ამ ბედნიერ შემთხვევაში მოვყევით და მასთან მისაახლოებელი გზებიც მოინახა.

...ჩვენი შეხვედრა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესთან თავისივე რეზიდენციაში შედგა ზაფხულის ერთ მშვენიერ და წყნარ საღამოს. დიდხანს ვერ გადავლახეთ ჩვენში ჩაბუდებული სტერეოტიპი__შეიძლება კი თავისუფლად გვესაუბრა მასთან ნებისმიერ ყოფიერ თუ არაყოფიერ თემაზე, შეიძლება კი თუნდაც ერთი ფინჯანი ჩაიც მიგვერთვა სუფრასთან ერთად მსხდომებს? ვუსმენდით და ვგრძნობდით, რაოდენ დიდი მადლი გადმოდიოდა ყველა იქ მყოფზე მადლი ღვთისა და უდიდესი სიყვარულისა__„თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ქალარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა". (კორინთელი I. 14)

ცნობისმოყვარე ყურით ვუსმენდით მის მიერ შექმნილ, უბადლო ნიჭიერებით ხელდასმულ სცენარს პატრიარქის დახვედრისათვის რომ ჩამოულაგებია საკუთარ გონებაში. რა ღვთიური ნიჭით დაუჯილდოებია განგებას... ფიზიკაზეც ვისაუბრეთ, თეატრზეც, ბახზეც და გლენდ გულდზეც ბიბლიის დიდ საიდუმლოზეც, სიძულვილზეც, მაგრამ სიყვარულით ვისაუბრეთ სიძულვილზე, ჩვენს დაცემაზეც, შეცდომებზეც... ყოველგვარი ნიღბების გარეშე ვსაუბრობდით, გულახდილებ ვიყავით და ბედნიერები, რამეთუ ჩვენ შორის მოყვასის უდიდესი სიყვარული იდგა მეგზურად.

ჩვენი საღამოც დასრულდა. ემოციები და შთაბეჭდილებები დღემდე არ გაგვნელებია არც ერთ ჩვენგანს. მოვდიოდი და ჩემთვის ვფიქრობდი_სად, თუ არა ღვთის სამსახურში, სად, თუ არა მაცხოვრისათვის თავშეწირვაში, სად, თუ არა მოყვასისათვის ლოცვაში? დაილოცა ღმერთო შენი განგება! სწორედ აქ უნდა დახარჯულიყო ალბათ ამოდენა ნიჭი, სათნოება და სიყვარული. ის სიყვარული, რომელიც

„__სულგრძელია, ქველმოქმედია, არ შურს, ან ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს,

__არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს,

__არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს,

__ყოველთვის იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველთვის ითმენს". (I კორინთელთა 14.)

მარინა სვანიძე

სულთმოფენობა

„დღესასწაულთა დღესასწაული"__ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს და ამაღლებიდან მეათე დღეს, მართლმადიდებლური ეკლესია სულთმოფენობას ანუ სულიწმიდის გარდამოსვლას აღნიშნავს. სულთმოფენობის წინა დღეს ე.ი. შაბათს მიცვალებულთა ხსენებაა; ლეჩხუმელები (და არა მარტო ლეჩხუმელები) კი ამ დღეს „წინაპართ მსგავსად დალაშქრავენ" მიუვალ გზებს და ხვამლის წმიდა გიორგის ეკვედრებიან. სულთმოფენობას კი „მთელი სვანეთი შეკრებილა" სოფელ ფაყში და დედაღვთისას ანუ როგორც თავად უწოდებენ „ლამარიას" ავედრებენ თავისებურად „სტაროსტები" დიდსა თუ პატარას „წითელ-ფარჩიან" სვანის ასულთა ბედსა და კიდევ „ვინ მოსთვლის?!"...

იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულები ერთად იყნენ შეკრებილნი, უეცრად „იყო მეყსეულად ზეცით ოხრაჲ, ვითარცა მოწევნაი ქარისა სასტიკისაი"... ირგვლივ დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ყოველი ადამიანი თავის მშობლიურ ენაზე ისმენდა მოციქულთა სიტყვას, რამაც ბუნებრივია თითოეულ მათგანს კითხვა გაუჩინა: ესენი ხომ გალილეველები არიან და როგორღა ვისმენთ თითოეული ჩვენგანი ჩვენს მშობლიურ ენას, როგორ ადიდებენ ჩვენ-ჩვენ ენაზე ღმერთს? ზოგიერთმა გააქილიკა კიდეც და თქვა: დამთვრალანო.

მაშინ წმიდა პეტრე მოციქულმა აღიმაღლა ხმა და მიმართა ხალხს, რომ აღსრულდა იოელ წინასწარმეტყველის მიერ თქმული: „მივფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა და წინასწარმეტყველებდნენ ძენი თქუენნი და ჰაბუკნი თქუენნი"! პავლე მოციქული აგრძელებს, რომ მართლაც არა სხვას, არამედ სწორედ ის ნაზარეველი იესო აღადგინა ღმერთმა და ზეცად ამაღლებულმა მამისაგან მიღებული აღთქმის მიხედვით მის მორწმუნეებს მოჰფინა სული წმიდა, როგორც ახლა ამას თავადაც ხედავდნენ და ისმენდნენ. წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, ჯვარცმის შეხსენებით მოციქულმა დიდებულად დაამთავრა თავისი სიტყვა, შეუძრა სული იუდეველებს და ბრწყინვალე შედეგსაც მიაღწია, რადგან სმენელებმა „შეინანეს გულითა" და მოციქულებს ჰკითხეს, როგორ მოქცეულიყვნენ. მოციქულმა მოუწოდა ცოდვათა მოსატევებლად იესო ქრისტეს სახელით მონათვლულიყვნენ და ამ გზით მიეღოთ მადლი სულისა წმიდისა.

იმ დღეს ბევრმა სიხარულით მიიღო მოციქულის სიტყვა და ნათელ იღო.

მონათლულთა რიცხვმა სამიათასს მიაღწია. სწორედ ამ დღეს წარმოიშვა მართლმადიდებელი ეკლესია, რადგან შეიქმნა მართლმორწმუნეთა კრებული.

მართლმადიდებელნი სულთმოფენობის დღეს, საზეიმო ლიტურგიისას ტაძრებს ხის მწვანე რტოებით, ბალახებით და ყვავილებით რთავენ. ღვთისმსახურთაც და მლოცველთაც წირვის დროს ხელში უჭირავთ ყვავილების თაიგული შიგ ჩადებული ანთებული სანთლებით. ამ „რიტუალს" კი შემდეგი სიმბოლური დატვირთვა აქვს: ანთებული სანთელი სული წმიდის გარდამოსვლას მოგვაგონებს, ხოლო ყვავილები, მწვანე რტოები და ბალახები იმ მადლს, რასაც სული წმიდის მოფენის შედეგად ვიღებთ.

უცნაური გრძნობა გეუფლება და საოცარ მადლს გრძნობ „ათასფერი ყვავილებით „დაფოჩვილ" ტაძარში უფლისადმი საგედრებელ ლოცვას რომ ამბობ: „გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა".

p.s. შეგახსენებთ, რომ 1 ივლისიდან იწყება პეტრე-პავლობის მარხვა და გასტანს 12 ივლისამდე. წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე იყოს მეოხი, მფარველი და თანამავალი თითოეული ჩვენგანისა უფლის წინაშე.

ეკატერინე ბენდელიანი

ენა—ჩვენი ქართული

რაიონის ტერიტორიაზე სისტემატური დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა არა ერთი შეცდომა, გაუმართავი წინადადება, ჟარგონი და ა.შ.

განსაკუთრებით ასეთი სახის შეცდომები აღინიშნებს ქალაქის ცენტრში მდებარე სავაჭრო ჯიხურების, მაღაზიების გარე ფასადებზე, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ მათი მეპატრონეები ვალდებულნი არიან ის აბრები, სადაც შეცდომებია დაშვებული, ჩამოხსნან და გააკეთონ ახალი სწორი ტექსტით. მასიურია ასეთი სახის შეცდომები:

1. ნისია არ გაიცემა უნდა იყოს__ნისიად არ გაიცემა.
2. პერაშკი__ღვეზელი
3. ბულკი__ფუნთუშა
4. სერი პური_რუხი პური
5. სალიარკა__დიზელის საწვავი.
6. ავტო. ტექ. მომსახურება__ავტოტექნიკური მომსახურება
7. ვიგეროი, მაგნა... სიგარეტი__„ვაისროი" ან „მაგნა"
8. კაფე ბარი__კაფე-ბარი

ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიების აბრებზე შეიმჩნევა წარწერა „შერეული მაღაზია". მართალია, ასეთი წარწერა წლების მანძილზე იყო, მაგრამ მართებულია დამკვიდრდეს: „მაღაზია" ან „უნივერსალური მაღაზია" მაღაზიებში, სადაც წამლები მხოლოდ იყიდება და არ მზადდება, აბრებზე წარწერები არასწორადაა გაკეთებული. ნაცვლად „აფთიაქისა" უნდა იყოს „სააფთიაქო მაღაზია". თუ მეპატრონის სურვილი აქვს მიანიშნოს, რომ აქ წამლები იყიდება დაბალი ფასით, მაშინ წარწერა გაკეთდება ასე:

სააფთიაქო მაღაზია
(წამლები იაფად)

ყოვლად დაუშვებელია იყოს „იაფიანი აფთიაქი"

ხშირია შემთხვევა, როცა გასაყიდი ნივთის არასწორი სახელწოდება და ფასი მაღაზიის გარეფასადზეა აღნიშნული. ეს კი ქალაქის იერსახეს აუფერულებს. ამიტომ მესაკუთრეები ვალდებული არიან გააუქმონ ასეთი წარწერები. ნივთის ფასი კი აღნიშნონ ნივთთან ერთად.

მაღაზიის, ჯიხურების, კაფე-ბარების, სასადილოების პატრონები ვალდებულნი არიან მათი ობიექტების სახელდების პროექტი წინასწარ შემოიტანონ ენის სახელმწიფო პალატის ცაგერის რაიონის განყოფილებაში შესწორების მიზნით, ხოლო ეს გასცემს წარმოდგენილი პროექტების ენობრივი გამართულობისა და შინაარსობრივი მიზანშეწონილობის დამადასტურებელ დასკვნას.

ენის სახელმწიფო პალატის
ცაგერის რაიონული განყოფილება

გასრულებული ბავშვობის საღამო

...აუ! როგორ გაფრენილან ბავშვობის ლაღი და უდარდელი დღეები! როგორ შეჯახებია ერთმანეთს ოცნების თავაშვებული აფრები თუ ხვალინდელი დღის რეალობა. წინ მთელი ცხოვრებაა თავისი მოულოდნელობებით, წარმატება—წარუმატებლობებით, მინუსებითა და პლიუსებით. ფაქტი კი ერთია—გასრულდა სანუკვარი ბავშვობის დღეები.

სწორედ ასეთ სევდანარევი სიხარულის ზეიმი იდგა ჩხუტელის საშუალო სკოლაში იმ დღეს. ამ სკოლის თხუთმეტი კურსდამთავრებული, პედაგოგები და მშობლები, მოწვეული სტუმრები კეთილგანწყობითა და მათთვის შემონახული საუკეთესო სურვილებით „შეიარაღებულნი"—ელოდნენ ახალგაზრდების გამოჩენას—აი, ისინიც—ლაღები, სუფთები და ხვალინდელი დღის, უკეთესი მომავლის გარანტნი.

საღამოს ორგანიზატორმა, ჩხუტელის საშუალო სკოლის ქიმიის პედაგოგმა ნონა მეშველიანმა გულღიად შეგვიპატიჟა საოცარი გემოვნებით, გულმოდგინებით „შექმნილ" დარბაზში და დაუვიწყარი ზეიმიც დადგა—ერთმანეთს ცვლიდა სევდა, იუმორი, მოგონებანი გარდასულ დღეთა, ლექსი, სიმღერა, ბოლო არ უჩანდა სკოლისა და ბავშვობის ნატვრას, პედაგოგთა, სტუმართა და მშობელთა საუკეთესო სურვილებს.

კურსდამთავრებულებს მიესალმა და ახალი გზის ბედნიერი დასაწყისი უსურვა სკოლის დირექტორმა ბატონმა ბორის მიქაძემ, პირველმა მასწავლებელმა მედეა ღოღელიანმა, განათლების განყოფილების ინსპექტორმა ნოდარ კოპალიანმა, კლასის დამრიგებელმა ამირან ახვლედიანმა. შეხვედრის დასასრულს ყველამ ერთად სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს და ... სკოლის კედლების საამო სურნელიც ერთად შეისუნთქეს.

გზა ბედნიერებისაკენ, წინააღმდეგობათა დაძლევისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ გქონდეთ ჩვენი რაიონის კურსდამთავრებულებო! დაე, თქვენი დაუხარჯავი ენერგია, თქვენში ჩადებული პოტენციალი, ნიჭი მუდამ ლეჩხუმის უკეთესობისაკენ მოგემართოთ!

მარინა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება აცხადებს

აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნება:

№	ობიექტის დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ. დოლარი)	ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი (კვ.მ)	მიწის გასაყიდი ფასი (ლარი)	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება
1	შპს „ავტოტრანსპორტი"	1961	16856	9100	13104,0	549	15656
2	ორბელის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სახლის თავისუფალი ფართი	1981	58	—	—	–	–
3	მოსაცდელი სოფ. ორბელში	1971	61,0	50	36,0	–	–

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ობიექტის საწყისი ფასის არანაკლებ 10%-სა) თანხის გადახდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილების №000609602 ანგარიშზე ცაგერის აგრომრეწვბანკში, ლარებში, გადახადის დღისათვის ლარის აშშ დოლართან განსაზღვრული კურსით.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება იწარმოებს ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. განაცხადები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე. აუქციონი ჩაგარდება განაცხადების მიღების შეწყვეტიდან მომდევნო სამუშაო დღეს 12 საათზე ცაგერის რაიონული გამგეობის შენობაში.

სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საველე გაზომვების, გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გამიჯვნის აქტისა და საკადასტრო რუკის შედგენის, საკუთრების უფლების გაცემის, სანოტარო და სხვა აუცილებელი საბუთების წარმოების ხარჯებს სახელმწიფო ქონების „მყიდველი".

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64, ტელ 20-66

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება აცხადებს კომერციულ კონკურსს 75%-ის ფასდაკლებით

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25% ნაკლებია.

საკონკურსო პირობები:

1. „მყიდველი"-ს მიერ ობიექტის საბოლოო ფასის 51%-ის დაფარვა ერთი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 49%-ის—ერთი წლის განმავლობაში თანაბარპროპორციულად, კვარტლების მიხედვით.

2, სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

3. ეკოლოგიური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა.

4. საკუთრების უფლების გაცემის, სანოტარო დამოწმებისა და აუცილებელი სამუშაოების წარმოების ხარჯებს იხდის „მყიდველი".

5. ყოველ 6 თვეში საკონკურსო პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა,

6. საკონკურსო პირობების დარღვევის შემთხვევაში „მყიდველი" კარგავს ობიექტზე საკუთრების უფლებას.

საპრივატიზებო თანხების დაფარვა იწარმოებს სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილების №000609602 ანგარიშზე ცაგერის აგრომრეწვბანკში. გადახდის მომენტისათვის აშშ დოლარის ექვივალენტური კურსით ლარებში.

განმცხადებელი განაცხადთან ერთად განყოფილებას წარუდგენს „ბე"-ს (ობიექტის ღირებულების, მინიმუმ 10%) გადახდის ქვითარს, რაც გათვალისწინებულ იქნება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 საათიდან 17 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე დაემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.

კონკურსი გაიმართება განცხადების მიღების დამთავრებიდან შემდგომ სამუშაო დღეს 12 საათზე, სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონულ განყოფილებაში.

კონკურსში მონაწილების მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

3. სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილების ანგარიშზე (ცაგერის აგრომრეწვბანკი, ა/ა №000609602) „ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი:

4. პირადობის დამადასტურებელი მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

6. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში „მონაწილის სტატუსს".

ობიექტზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საველე გაზომვების, გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გამიჯვნის აქტისა და საკადასტრო რუკის შედგენის ხარჯებს იხდის სახელმწიფო ქონების „მყიდველი."

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ ცაგერი, რუსთაველის ქ №64, ტელ. 20-66

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება

№	ობიექტის დასახელება	ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი ($)	ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი (კვ.მ.)	მიწის გასაყიდი ფასი (ლარი)	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება
1	შპს „ცაგერის საგზაო სამმართველო"	5266,6	6000	4320	1174	906
2	ცაგერის ასფალტ-ბეტონის ქარხანა ქვის სამხვრევი დანადგარით	2295,0	6500	2340	-	-
3	შპს „მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციისა და რემონტის საწარმოო"	2312,0	6400	4608	8535	5551
4	მცირე ჰესი „ორბელჰესი"	5876,8	4900	1764	-	-

მომავლის მატარებელი სკოლისკენ მიჰქრის

კიდევ ერთხელ იზეიმეს ცაგერის №1 და №2 საბავშვო ბაღებმა უფროს ჯგუფელთა გამოშვება. როგორც ყოველთვის, ახლაც, საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებით წარსდგნენ ისინი უფროსების წინაშე. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან მათ მომზადებაში ხომ მთელ სულსა და გულს აქსოვენ ჩვენი საყვარელი და გამოცდილი პედაგოგები ვალიდა გოგიძე, ლალი კოპალიანი, ბელა ნემსაძე, შორენა სოხაძე, იზო ბობოხიძე, ნატო ბენიძე, ფიქრია კოპალიანი, მე გავკადნიერდი და ამ ორ ბაღში სხვადასხვა დროს ჩატარებული ზეიმები, ერთდროულად, ამ პატარა წერილში გავაერთიანე, რადგან მათი ფუნქციაც ხომ ერთია—ჩვენი პაწიების აღზრდა-დაფრთიანება.

ზეიმების მსვლელობისას, პედაგოგ-აღმზრდელების გულთბილი მზერა კიდევ უფრო ამხნევებდა პატარებს, რათა უფრო მგრძნობიარედ წაეკითხათ ლექსები, ხოლო რუსულან და მზია მასწავლებლების მიერ შესწავლილი სიმღერები მთელი გულით ემღერათ. რასაც მშვენივრად ახერხებდნენ.

ბავშვები გამოირჩეოდნენ საღი აზროვნებითა და მუსიკალურობით. ისინი საოცარი არტისტიზმით ასრულებდნენ ქართულ თუ ევროპულ ცეკვებს.

მართლაც, დიდია აღმზრდელ-პედაგოგების ამაგი პატარების წინაშე. მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ისინი მთელი გულით იხარჯებიან პატარებთან. ნელნელა აცნობენ მათთვის ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროს და უყალიბებენ სათუთ და წმინდა გონებას. მათი მომავლის მატარებელი ხომ უკვე სკოლისკენ მიჰქრის.

დასასრულს, როგორც ერთმა, ისე მეორე ბაღის გამგეებმა ცარო მეშველიანმა და ციცო მუმკუდიანმა აწ უკვე დაფრთიანებულ პატარებს ტრადიციისამებრ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ჩვენც ვუერთდებით პატარების სიხარულს. მათ პედაგოგებს კი ვუსურვებთ კვლავაც მრავალი ღამაზი თაობა აღეზარდოთ.

ეკა ყვირილიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის სხდომაზე

2002 წლის 27 ივნისს ჩატარდა გამგეობის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიონის გამგებელი ონერ ნემსიწვერიძე. სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის წევრები, მოწვეული სტუმრები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები.

1. ცაგერის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. (რ. ცხვედიანი, შ. ჯირილიანი).

2, გამგეობაში მიმდინარე წელს შემოსული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებების, სამხარეო ადმინისტრაციიდან და სხვა უწყებებიდან შემოსული დოკუმენტების შესრულებისა და მოქალაქეთა განცხადებების, მომართვების და საჩივრების შესწავლის მდგომარეობის შესახებ. (დ. ცვარიანი, ნ. ტვილდიანი)

3. რაიონის სავაჭრო ქსელში სასურსათო პროდუქტების ვარგისიანობის და სავაჭრო ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (ბ. კოპალიანი).

4. ცაგერის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამწლიანი (2003-2006 წწ) პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (გ. ლეთოდიანი)

5. ქ. ცაგერში მცხოვრებ მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე კომერციული მაღაზიების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის შერჩევის შესახებ (ნ. ხვადაგიანი)

6. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წ. 28 აპრილის №201 ბრძანებულების თანახმად „სიცოცხლის ბაღების" მშენებლობის შესახებ (პ. ფუტკარაძე) დაევალა ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებას.

7. მძიმე მდგომარეობაში მყოფი რამდენიმე ოჯახისათვის ერთდროული ფულადი დახმარების გაწევის შესახებ.

7. ომის შემდეგ გარდაცვლილი სამამულო ომის ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების გაცემის შესახებ.

სხდომამ აღნიშნული დადგენილებები მიიღო. ბატონმა გამგებელმა განაცხადა რომ, ჩამოთვლის შესასრულებელ საკითხთა შესრულება შემოწმდება აგვისტოში მოწვეული გამგეობის სხდომაზე.

საკრებულოს მიხედვით არჩეული წევრები და თანამდებობის პირები

ქალაქ ცაგერი საკრებულო

1. ქარსელაძე თამაზი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ახვლედიანი რამაზი—მდივანი
3. ჩაკვეტაძე ნუნუ
4. ღურჭუმალიძე ბეჟანი
5. ზურაბიანი ალუდა

ალპანის საკრებულო

1. ბურჯალიანი თენგიზი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ხუციძე ჰამლეტი—მდივანი
3. მუკვანი მერაბი
4. ფრუიძე სულიკო
5. ფრუიძე ავთანდილ

აღვის საკრებულო

1. ხეცურიანი ზურაბი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. მიქაძე ოლეგი—მდივანი
3. ყურაშვილი ჟორა
4. მიქაძე ომარი
5. ჭაბუკიანი თამაზი

ზუბის საკრებულო

1. ბენიძე ზაური—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ომანაძე შიო—მდივანი
3. ბენიძე გუშერი
4. ომანაძე დარეჯანი
5. კუხალაშვილი მურადი

ლაილაშის საკრებულო

1. გოლოძე სოსო—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ხუბუკელაშვილი ჯუმბერი—მდივანი
3. ყუბუსიძე მზისერი
4. ჩარკვიანი ისკანდერი
5. ჩაჩხიანი რეზო

ლასურიაშის საკრებულო

1. ბრეგვაძე როსტომი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ჭაბუკიანი თამაზი—მდივანი
3. ჭაბუკიანი ემზარი
4. სილაგაძე ლერი
5. სილაგაძე ტარიელი

ლუხვანოს საკრებულო

1. კოპალიანი ავთანდილი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. თაგვაძე ზურაბი—მდივანი
3. ბენიძე ავთანდილი
4. მანდარია მურთაზი
5. ლეთოდიანი ზაური

ნაკურალეშის საკრებულო

1. ყურაშვილი გია—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ბენდელიანი ნათელა—მდივანი
3. სვანიძე ზურაბი
4. გოლეთიანი სოზარი
5. ახვლედიანი ზაური

ორბელის საკრებულო

1. ბურჯალიანი ლევანი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. მახარობლიძე რამაზი—მდივანი
3. ბურჯალიანი გია
4. ნემსიწვერიძე იური
5. ახვლედიანი ზაური

ოყურეშის საკრებულო

1. ყურაშვილი თემური—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ყურაშვილი გია—მდივანი
3. ყურაშვილი რამაზი
4. გოლეთიანი ბორისი
5. მანაგაძე ბიჭიკო

ტვიშის საკრებულო

1. ნემსიწვერიძე ონერი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ჩაკვეტაძე ზაზა—მდივანი
3. გაბიძაშვილი თამილა
4. ასათიანი ვალერიანი
5. ახვლედიანი თამაზი

უსახელოს საკრებულო

1. თოთაძე მურმანი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. შეკიშვილი ჟორა—მდივანი
3. გორგასლიძე ნოდარი
4. მუკბანიანი გიზო
5. ხეცურიანი კუკური

ქვედა ცაგერის საკრებულო

1. კოპალიანი კარლო—საკრებულოს თავმჯდომარე
2. კოპალიანი კახა—მდივანი
3. ბენდელიანი თამაზი
4. კოპალიანი თამაზი
5. ლეთოდიანი გია

ღვირიშის საკრებულო

1. ნიკოლაიშვილი ლიანა—საკრებულოს თავმჯდომარე
2. ბაღდავაძე ვალიდა—მდივანი
3. ახვლედიანი არჩილი
4. ხეცურიანი იური
5. ნემსიწვერიძე ჯონი

წიფერჩის საკრებულო

1. ჩარკვიანი გია—საკრებულოს თავმჯდომარე
2. თუთისანი ჟორა—მდივანი
3. ახვლედიანი ცაგუ
4. ლარცულიანი მურთაზი
5. კოპალიანი გენადი

ჩხუტელის საკრებულო

1. გუგავა გოგი—საკრებულოს თავმჯდომარე
2. კვირკაშვილი თემური—მდივანი
3. სილაგაძე ბადრი
4. ეფაძე ავთანდილი
5. ჭიღვარია ვახტანგი

ღვაწლი წინაპართა

კაცი, რომელზეც ლეგენდები დადიოდა

ლეგენდარული სახალხო მკურნალი ვიქტორ ჩაჩხიანი იყო შვილი ანტონ ჩაჩხიანისა, რომელმაც 1905-1907 წლებში ლაილაში გადაარჩინა ალიხანოვ-ავარსკის დარბევისაგან. მის კოლორიტულ ფიგურას აღმერთებდა და მოწიწებით სცემდა თაყვანს არა მარტო მშობლიური ლაილაში, არამედ—მთელი ლეჩხუმი, რაჭა, სვანეთი და იმერეთი. კარგი იქნებოდა, ამ დიდებული პიროვნების შესახებ მოგონებები მისი თანამედროვეებისაგან, ან იმ ადამიანებისაგან მაინც შეგროვებულიყო, ვისაც ვიქტორმა შეუნარჩუნა სიცოცხლე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ხალხი ძალიან ცოტა შემორჩა სამზეოს. „პირადად მე—იგონებს ბატონი ნოდარ მესხაძე—ომამდე, სულ პატარას მამამ მითხრა: აი, ამან გადაარჩინა შენი დაო“, მას შემდეგ ცნობილ სახალხო მკურნალს დიდხანს არ უცოცხლია, უსაზღვროდ დამწუხრებულმა სოფელმა გლოვის ზარი შემოკრა ვიქტორის გარდაცვალებაზე. „რაღა გვეშველება, ჩვენი ღმერთი აღარ გვყავსო“ ტიროდა უიმედოდ დარჩენილი ხალხი, მის დასაფლავებაზე უამრავი ადამიანი მოვიდა, ლეჩხუმის, რაჭის, სვანეთის, იმერეთის სოფლებიდან და თბილისიდან. დაკრძალვაზე მოსულ ადამიანებს კარგად დაამახსოვრდათ დიდი მკურნალის შავით მოსილი ბედაური და დაღონებული მონადირე ძაღლები. მისი გარდაცვალებიდან ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ინტერესი ამ განუმეორებელი პიროვნების მიმართ დღემდე არ განელებულა. მადლიერი ლეჩხუმელების მეხსიერებაში ვიქტორ ჩაჩხიანი ახლაც მკურნალის ეტალონად არის აღიარებული.

როცა ვინმეს ავადმყოფობა დარევდა ხელს, მისი გულშემატკივარი მძიმედ ამოიოხრებდა და დანანებით იტყოდა ხოლმე: „ეჰ, სად არის ახლა ცხონებული ვიქტორ ფერშალიო“. ვიქტორ ფერშალი... რაოდენ მრავლის მთქმელი იყო და არის ეს სიტყვები, მართლაც და მისი კვალიფიკაცია ამ ტიტულს არ გასცილებია, მაგრამ ცოდნა, გამოცდილება და უტყუარი ალღო პროფესორისას ალემატებოდა.

ნეტარხსენებული ვიქტორ ჩაჩხიანი დიდი ივანე გომართელის თანამედროვე იყო, მასთან ერთად დაამთავრა თბილისის საფერშლო სასწავლებელი და ახლო მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდათ. ქართული ღვინის მოყვარული ვიქტორის სუფრაზე ივანეს სადღეგრძელოს განსაკუთრებული პატივისცემით სვამდნენ. აღნიშნული სასწავლებელი ივანესათვის მატარებელი რაკეტა აღმოჩნდა დიდ ჰორიზონტზე გაყვანისათვის. ვიქტორ ჩაჩხიანი კი სოფელს დაუბრუნდა და სამედიცინო პრაქტიკას მიჰყო ხელი. აქედან იწყება მისი პოპულარობა. ავადმყოფთან დამოკიდებულებაში გამოირჩეოდა ნამდვილი ნათელმხილველის თვისებებით, მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდა თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭიც.

მისი პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთი დიპლომიანი მკურნალიც კი ფერშლის ჩრდილში ექცეოდა, რაც შურსა და შუღლს აღძრავდა მხცოვანი მოამაგის მიმართ. ზოგიერთი უზნეო ხელმძღვანელი კი ავიწროებდა და გულს სტკენდა კაცს, რომელსაც აღმერთებდა უბრალო ხალხი. მიუხედავად ამისა, ვიქტორი ბოლომდე ერთგული დარჩა ჰიპოკრატეს ფიცისა.

ივანე გომართელს ვიქტორის რეცეპტით მისული სნეულისათვის უთქვამს: თუ ვიქტორთან იყავი, ჩემთან რა გინდოდაო. ეს სიტყვები დღემდე ლეგენდასავით დადის ხალხში და მის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. დიდმა დასტაქარმა იქვე დასძინა თურმე: „მე რომ ვიქტორის ოდენა სმენა მქონოდა ავადმყოფისა, ჩემი გომართლობა მაშინ უნდა გენახათო“..ასეთი ეპითეტები ბევრი დადიოდა საზოგადოებაში. ამას ცოცხალი მოწმეები ყვებოდნენ, ვისაც უშუალო კავშირი ჰქონდა ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ დიდ სახალხო მკურნალთან.

ვიქტორ ჩაჩხიანი სუფრისა და ნადირობის ნამდვილი ტრფიალი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მის სახელთან არის დაკავშირებული უნიკალური ძუღურის მინერალური წყლის აღმოჩენა. როცა ვიქტორმა შენიშნა, რომ მონადირე ძაღლები არჩვებს ძუღურის ღელის ერთი და იმავე ადგილიდან ერეკებოდნენ, თქვა: ჩადით, ბიჭებო, იქ აუცილებლად მჟავე წყალი იქნებაო. მას არც მაშინ უღალატა ალღომ. ამის შემდეგ დაიწყო ბილიკების გაყვანა დღეს მსოფლიოში სახელგანთქმული მინერალურ წყაროებამდე. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ძუღურში გაიყვანეს საავტომობილო გზა და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი. დაიწყო კეთილმოწყობილი კურორტის მშენებლობა, მაგრამ მოვიდა ავბედითი 90-იანი წლები და ამ დიდ საქმესაც წერტილი დაესვა. ამჟამად ყველაფერი იავარქმნილია.

შალვა მესხაძე იგონებს: „ძმის შვილი გამიხდა ავად, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, ექიმებმა ალექსანდრე ყუბუსიძემ და კოლია ჩორგოლიანმა ვერაფერი უშველეს, მოკვდებოდა ვიქტორი, რომელიც ყანაში ვნახეთ. ბავშვი გასინჯა და რაღაც წამალი მისცა. ავადმყოფმა მაშინვე გაახილა თვალი. ცნობილ მკურნალს კოლია ჩორგოლიანს შვილი გაუხდა ცუდად, მაგრამ ვერაფერი გაუგო. მისი მეუღლე იძულებული გახდა ბავშვი ჩუმად მიეყვანა ვიქტორთან, რომელმაც მალე დააყენა ყმაწვილი ფეხზე.

გალაქტიონ ჩაჩხიანი ფილტვების ანთებით გამხდარა ავად. მაშინ ეს დაავადება მოურჩენელი ყოფილა. ვიქტორს გაუსინჯავს და უთქვამს: ნედლი თევზი მოარჩენსო. ავადმყოფისათვის კალმახი მიურთმევიათ და მალე დაუყენებიათ ფეხზე. ავადმყოფთან ცხენით მიყავდათ, ფულს არავის ახდევინებდა. ასეთი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

ჟამთა სვლის მიუხედავად, ყველაფრის გამხუნებელმა დრომ დღემდე ვერ გააფერმკრთალა დიდი სახალხო მკურნალის ნათელი ხსოვნა, რომელსაც სათუთად ინახავს არა მარტო მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, არამედ ყველა, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონდა შეხება ჭეშმარიტ, ღვთიური მადლით უხვად დაჯილდოებულ ლეგენდარულ მკურნალთან.

ომარ ჭაბუკიანი,
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.
მუზეუმი და რედაქცია მადლობას უხდიან ლაილაშის მკვიდრს, ბატონ ნოდარ მესხაძეს მასალის მოწოდებისათვის.

„ქვეყანა იყო დიამშის, ხვამლმა გადარჩინა“

(დასასრული)

წიეს ხვამლის მთას, დედოფალმა სთხოვა ჯალათებს, რათა ის ხეზე არ მიებათ და ისე დაეტოვებინათ. ჯალათებმა ეს სურვილი შეუსრულეს. დედოფალმა ხეტიალის დროს მიაგნო ერთ გამოქვაბულს და შიგ შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოქვაბულში ირემი შევიდა. ირემმა ქალს შეხედა, მაგრამ არ იუცხოვა, მიუახლოვდა და ლოკვა დაუწყო, ქალიც გათამამდა, მიხვდა, რომ ირემი მტაცებელი ცხოველი არ იყო. ირემს ხმელი პურის ნაჭრები მიაწოდა, ხოლო თვითონ ირმის რძეს სვამდა. ამგვარად ქალმა და ირემმა ერთად ცხოვრება დაიწყეს. დედოფალი ფეხმძიმედ იყო და ვაჟი შობა—გურგენ მეფის შვილი. ორი წელი ასე ცხოვრობდნენ გამოქვაბულში.

ომიდან დაბრუნებულმა გურგენ მეფემ მალე გაიგო, რომ ვეზირმა უღალატა. დედოფალი მეფის შიშით უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მეფე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ცხოვრობდა ძველ ოთახში და გლოვობდა დაკარგულ მეუღლე-დედოფალს. ერთ დღეს სანადიროდ წავიდა ხვამლის მთაზე. ჯალათებმა დედოფლის „წამების“ ადგილი უნდა ეჩვენებინათ. ხვამლზე ასვლისთანავე პური ჭამეს: მეფე იმ მიმართულებით წავიდა, სადაც ჯალათებმა დედოფალი დასტოვეს. მეფემ ირმის ნაკვალევი შენიშნა, გაჰყვა და გამოქვაბულს მიადგა. შიგ შეიხედა და დაინახა ქალი, რომელსაც ხელთ ჩვილი ბავშვი ეპყრა. შეიცნო მეუღლე—დედოფალი ერთმანეთს გადაეხვივნენ და სიხარულის ცრემლი სდიოდათ“.

ასეთი ხალხური თქმულებები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა მიუთითებს იმაზე, რომ ლეჩხუმლები ხვამლის მთას უყურებდნენ, როგორც ყოველგვარი გაჭირვებიდან დამხსნელს და ამიტომაც აღმერთებდნენ.

ბუხური ლეთოდიანი
მუზეუმის მეცნიერმუშაკი.

მარიკა მეგრელი

კიდევ ერთი ლამაზი და ახალგაზრდა სიცოცხლე მოაკლდი ცაგერს, სათნო, თბილი და ალერსიანი.

ჩვენო მარიკა, ნამდვილად არ გვემეტებოდი იმ დიდი ტანჯვისათვის, რაც მთელი წლების მანძილზე გქონდა, ნამდვილად გვტკიოდა ყველას შენთან ერთად, მით უმეტეს სიკვდილისთვის არ გვემეტები. „თავს ზევით ძალა არ არისო“ ამბობენ,—განგებამაც ასეთი ბედის შეგქმნა ალბათ.

გვენანები, გწუხვართ უზომოდ. გვენანება შენი მშობლები, მეუღლე და შენი დედისერთა შვილი ამოდენა განსაცდელისთვის... რას ვიზამთ—შენი მშვენიერების, შენი სათნოების წინაშეც კი არ შეჩერდა სიკვდილი...

ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“
რედაქცია

გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით თქვენ...

შუა ჩამოდის მდინარე, ხიდიც არ გვიდევს წყალზედა... ერთი ლამაზი ხალხური სიმღერის ეს მგრძნობიარე სტრიქონები შეხსენებისათვის არ მოგვიტანია, ეს ჩვენი რეალობაა, მწვავე რეალობა: ხშირი წვიმებით უსაშველოდ ადიდებულმა თავაწყვეტილმა ცხენისწყალმა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა თავისი ძალა—თითქმის დატოვა მარცხენა კალაპოტი და ქვედა ცაგერის ტერიტორიაზე ლასურიაშისკენ მიმავალი საავტომობილო გზა შუაზე გაწყვიტა, წაიღო ისე, რომ სახელდახელო საცალფეხო ხის ბოგირ-ხიდის გაკეთებაც კი შეუძლებელია ფეხით მოსიარულეთათვის. მდინარემ წალეკა ქვედაცაგერელთა ნათესები და ახლა ჭალისთავის ჭალის უბნის დასახლებას ემუქრება.

დიახ, ექსტრემალური სიტუაციაა ლასურიაშის რეგიონში, რომელიც ფაქტობრივად მოწყდა რაიონულ ცენტრს. შექმნილმა მდგომარეობამ გვიკარნახა შევხვედროდით ლასურიაშის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ როსტომ ბრეგვაძეს, მაგრამ ეს არ მოხერხდა. თუმც მხოლოდ სოფლის ხელმძღვანელთა კომპეტენცია და ძალისხმევა საქმეს ვერ უშველის, სახელმწიფომ, მთავრობამ უნდა მიიღონ სასწრაფო ადეკვატური ზომები, პირველ ეტაპზე ალბათ, გზის მშენებლობა უნდა დაფინანსდეს, შემდეგ მდინარე კალაპოტში ჩადგება, რაც გვესმის, ძალზე შრომატევადი და სერიოზული საქმეა.

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო—უთქვამთ, ვითომ პრობლემები აკლდათ—ახლა აქაური მოსახლეობა ლასხანისა და ალვის გავლით ახერხებენ რის ვაი-ვაგლახით მისვლას.

ჩვენი ამ პატარა საგაზეთო გამოსვლის მიზანი ერთია—იქნებ გზის გაკეთებამდე ალვის გავლით დაინიშნოს ავტობუსი ლასურიაშელთათვის, რა თქმა უნდა, შეღავათიან ფასებში. ეს მოხერხდება, თუ ვინმე მადლიანი ფინანსურად შეაშველებს ხელს მარშრუტის რეგულარულ მუშაობას, გულთან მიიტანს აქაური მოსახლეობის გასაჭირს.

PS მასალა მზად გვქონდა, როცა შევიტყვეთ, რომ ლასურიაშის საკრებულოს გადაწყვეტილებით დაინიშნა უფასო საავტობუსო მარშრუტი კვირაში სამ დღეს.

რედაქცია

ლალი ლეთოდიანის გახსენება

ლალი... ძალიან მიჭირს შენზე წერა__ძნელია ვწერო ისეთ ადამიანზე, ვინც ძალიან მიყვარდა და უკვე წარსულში მიხდება მასზე საუბარი.

ლალი! შენ ჩემი მეგობარიც იყავი და მასწავლებელიც... დაუვიწყარია ერთად გატარებული ყოველი წუთი, ყოველი დღე, შენი მუდამ მომღიმარი სახე და გაკვეთილები...

განსაკუთრებით შენი ჯვრისწერის დღე მახსენდება, როცა უზომოდ გახარებულს გხედავდი, სახეზე გეწერა უდიდესი ბედნიერება და ლამაზ ცისფერ თვალებში საოცარი მოციმციმე სხივი გედგა.

შენ ის ადამიანი იყავი, ვინც მე მასწავლა ბევრი, ძალიან ბევრი რამ, ვისგანაც უამრავ რჩევა-დარიგებებს ვისმენდი, ვისაც შეეძლო ყველას ტკივილი და სიხარული ერთნაირად მიეტანა გულთან. შენ ხომ დიდი სიყვარული შეგეძლო.

უზომოდ გიყვარდა შენი პროფესია, ერთი წუთით არ შეგეძლო ბავშვების გარეშე. სულ რაღაც ახალს ეძებდი, სწავლობდი, ინიშნავდი.

სულით გოლიათი იყავი ლალი და არ მეგონა, თუ სიკვდილი დაგამარცხებდა. ვერ წარმომედგინა, თუ ჩვენს გვერდით [illegible] იქნებოდი... მაპატიე, რომ შენ [illegible] სიცოცხლის უკანასკნელ წუ[illegible] შენს გვერდით არ ვიყავი, ვერ [illegible]ზიარე შენი დიდი ტრაგედია.

ახლა როცა [illegible] ხარ, მოსვენება დაგკარგე. ყველაფერთან შენ გაკავშირებ, სულ შენზე ვფიქრობ, შენი სახე მიდგას თვალწინ, გაციისკროვნებული, მომღიმარი სახე და მინდა ყველაფერი გავიხსენო, ყველა წვრილმანიც კი, ჩემო უფროსო მეგობარო!

არ ვიცი, რა დავარქვა ყველაფერ ამას, ჩანახატი, წარსულის გახსენება, მეგობარზე ფიქრი, რომელმაც უზომოდ მატკინა გული თუ... მაგრამ მე არ ვალამაზებ ჩვენს ურთიერთობას. აქ ჩემი გონება არაფერს მკარნახობს, აქ ყველაფერი ჩემი გულიდან ამოხეთქილი, აქამდე ერთმანეთისთვის უთქმელი დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი.

ღმერთს ვავედრებ შენს კეთილ სულს ჩემო ანგელოზო, უკვე მართლა ანგელოზო!

„დაბადებამდე, რომ ვერ გხედავდი,
ამაზე მწყდება ძალიან გული,
სიკვდილის მერე რომ ვეღარ გნახავ,
ამაზე როგორ არ დამწყდეს გული".

ხათუნა ჩარკვიანი

ქვეყნის პირველობაზე ფრენბურთში

თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სპორტის აკადემიის, რუსთავის, ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის, ცაგერის გუნდებმა.

მიუხედავად მოკრძალებული შედეგისა, ცაგერის გუნდის (მწვრთნელი თენგიზ საღინაძე) თამაშმა, რომელიც ჭაბუკი ფრენბურთელებისაგან შედგებოდა, სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე შესაბამისად II (მეორე) და IV (მეოთხე) ადგილები დაიკავეს სპორტის აკადემიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდებმა, რომლებიც ძირითადად ბოლო წლებში ჩვენს რაიონში აღზრდილი ფრენბურთელებით იყო დაკომპლექტებული, არც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენს რაიონში სპორტის ამ სახეობის დიდ პოპულარობას და ტრადიციებს.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ რაიონის ფრენბურთელთა ახალი თაობის აღმზრდელი თენგიზ საღინაძე, რომლის ნაღვაწი სახეზეა.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში ითამაშებენ ჩვენი რაიონის მკვიდრები სულხან ახვლედიანი, დათო ლიპარტელიანი, ზაალ ხაბულიანი და ოთარ საღინაძე.

ნაზი კობერიძე-ჩაკვეტაძის მოგონება

რა მოულოდნელი იყო ყველასათვის შენი გარდაცვალება__თითქოს სულ ახლახანს განვლეს იმ წამებმა, როცა კოხტად და კოპწიად, შემართული ნაბიჯებით ჩაივლიდ ქალაქის ქუჩებს და მშობლიური ბაღისკენ მიემართებოდი. ყველას მშველელი იყავი, თუ ვინმეს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნებოდა, ყველა შენსკენ გამოვრბოდით და შენც დაუზარელი, ჩვეული ენერგიითა და გამოცდილებით მოგვეშველებოდი.

ალბათ გადაგძლია ადრე გარდაცვლილი შენი მეუღლის ერთგულებამ და სიყვარულმა, ალბათ შვილიშვილების სიყვარულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა შენი ბედისწერა.

მსუბუქი იყოს შენთვის იქაური ცხოვრების ტვირთი...

მეზობლები

ლეჩხუმელი ფალავანი ირანში

რაიონის სპორტის მოყვარულები ინტერესით ადევნებენ თვალს თავისუფალ ჭიდაობაში პერსპექტიული სპორტსმენის ზვიად ბურჯალიანის (მწვრთნელი სპორტის ოსტატი: ალუდა სილაგაძე) წარმატებებს.

სოფელ ორბელის მკვიდრმა ზვიად ბურჯალიანმა მოიგო არაერთი რეგიონალური შეჯიბრება ხოლო მიმდინარე წელს გაიმარჯვა საქართველოს პირველობაზე ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, რითაც დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის ნაკრებში.

სულ ცოტა ხნის წინ, რაიონის გამგებლის სახელზე, მოვიდა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ გორა ძასოხოვის წერილი, რომელიც გვატყობინებს რომ ზვიად ბურჯალიანი—საქართველოს ნაკრების წევრი ივლისის ბოლოს მიემგზავრება ირანში პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად და გარკვეული ხარჯი ლეჩხუმმა უნდა გაიღოს.

რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით საკითხი დადებითად წყდება.

ჩვენ კი იმას დავუმატებთ, რომ ჭიდაობაში ანალოგიური მიღწევა მშობლიური კუთხიდან თითქმის არავის ჰქონია.

ერთი პოპულარული ქართული მხატვრული ფილმის მთავარი გმირი „ყალენიკე ლეჩხუმელი" მახსენდება და მწამს, რომ დღეს რაიონმა, სრულიად საქართველომ ტალანტები სპორტში აღარ უნდა დაკარგოს.

გულწრფელად ვუსურვებთ ზვიადს საერთაშორისო ასპარეზობაზე წარმატებას.

გოგი ჯირკაველი
ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

ცაგერის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე განყოფილების ღვაწლმოსილი მუშაკი
ოთარ ბესარიონის ძე
ჭაბუკიანი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის 1971 წლის XბI კლასის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ იური შკუბულიანს დედის
ოლია შკუბულიანის
გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონის გამგეობა, რაიონული საკრებულო თანაგრძნობას უცხადებენ თენგო მანდარიას მეუღლის
მარიკა მეგრელი-მანდარიას
გარდაცვალების გამო

ცაგერის საშუალო სკოლის 1986 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის
მარიკა მეგრელის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალს.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია თანაუგრძნობს ნოდარ, ნაირა, შალვა, ნათელა ცვარიანებს
თინა ცვარიანის
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნოდარ, ნაირა, შალვა, ნათელა, ციცინო, თინიკო ცვარიანებს
თინა ცვარიანის
გარდაცვალების გამო.

ჯონი ყვირილიანი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ჭირისუფალს
თინა ცვარიანის
გარდაცვალების გამო.

რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს თენგიზ მანდარიას მეუღლის
მარიკა მეგრელი მანდარიას
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა ჩაკვეტაძეს და ნური ხეცურიანს დედისა და სიდედრის
ნაზი კობერიძის
გარდაცვალების გამო

დეპუტატის რაიონული ბიურო იუწყება, რომ გარდაიცვალა
მარიკა მეგრელი მანდარია
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნონა ბენდელიანი, მანანა ბაკურაძე, გუგული ხაბულიანი თანაუგრძნობენ ოჯახს
მარიკა მეგრელის
გარდაცვალების გამო.

ჯ ვ რ ო ს ბ ო ნ ა ლ ი



თარაზულად:

1. ხარჯი, რომელსაც კანონის ძალით უხლის ოჯახის ერთ წევრი სხვა წევრებს.
2. ლეგენდარული ჰამლეტის მამა.
3. ფისკალური ანუ..
4. საქართველოს დიდი მოურავი.
5. დამხმარე ისტორიული მეცნიერება (შეისწავლის დროთა აღრიცხვის სხვადასხვა სისტემას).
6. ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი ქალი.
7. მრავალწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, ჭინჭრისებრთა ოჯახიდან.
8. უძველესი ქალაქი მცირე აზიაში.

შვეულად:

9. მეფე ლირის ასული
10 შუა საუკუნეების ერთ-ერთი აფრიკული სახელმწიფო.
11. ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი.
12. ვახტანგ გორგასლის შვილი.
13. ფეოდალურ იაპონიაში უმაღლეს მთავარსარდალის ტიტული.
14. რთული ორგანული ტუტე მცენარეული ან ცხოველური წარმოშობისა.
15. ამ ქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის მთქმელი ადამიანი.

რედაქცია მადლობას უხდის პოლიციისა და ავტოინსპექციის მესვეურებს თანადგომისათვის

რედაქტორი
თამარ
დავითშელიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზევინარ
ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის ვ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში"

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-99